



მგალობლიშვილი  
ყიფიანი  
ძიძიგური



თბილისი 28 ივნისი, 2010

არჩილ ჯბილაშვილი - პარტნიორი,  
მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგური

# გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის ცალკეული ასპექტები





## სარჩევი

შესავალი	4
➤ რა არის კრედიტორის მიზანი?	5
➤ რა არის მოვალის მიზანი?	5
➤ რა არის გადახდისუნარობის კანონის მიზანი?	6
➤ როგორ აღმოვაჩინოთ დროულად მოვალის ფინანსური სიძნელეები?	7
➤ როდის შეიძლება და როდის უნდა დაიწყოს კრედიტორმა მოთხოვნის დაკმაყოფილება?	8
➤ რა მეთოდი უნდა გამოიყენოს კრედიტორმა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად?	9
➤ როგორ წარვმართოთ ურთიერთობა პარტნიორთან (მომწოდებელთან ან კლიენტთან), რომელსაც წარმოეშვა ფინანსური სიძნელეები? როგორ აღვკვეთოთ კონფლიქტი კრედიტორებსა და მოვალეს შორის, რა პირობებში არის შესაძლებელი საქმიანი ურთიერთობის განგრძობა მოვალის მიმართ, რომლის მიმართაც დაწყებულია გაკოტრების პროცედურა?	12
➤ ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადახდისუნარობის შესახებ განცხადებით?	15



- როდის შეიძლება და როდის უნდა წარედგინოს მოვალეს მოთხოვნები გაკოტრების პროცესში? 18
- როგორ მიმდინარეობს გაკოტრების პროცედურა? 20
- როგორ დაუბრუნდეს ქონება გაკოტრების პროცესში მყოფ მოვალეს? 26
- როგორ მოვახდინოთ ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურირება? რა საშუალებით შეიძლება მოვალის ლიკვიდაციის თავიდან აცილება? 28
- რა უპირატესობა აქვს რეაბილიტაციას გაკოტრებასთან შედარებით? 32
- რომელი სუბიექტები და ორგანოები მონაწილეობენ გადახდისუნარიობის პროცესში? 34



## შესავალი

გადახდისუნარობის კანონი განკუთვნილია კრედიტორებისა და მოვალეებისათვის. ამ კანონის საშუალებით მათ უნდა მოახერხონ თავიანთი ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. ამიტომ, ჯერ უნდა გავერკვეთ კრედიტორისა და მოვალის ინტერესებში და შემდგომ, ამის ფონზე, არის შესაძლებელი კანონის გააზრებული გამოყენება.



## რა არის კრედიტორის მიზანი?

კრედიტორის მიზანი არის მისი მოთხოვნის რაც შეიძლება სრულად და დროულად დაკმაყოფილება.

## რა არის მოვალის მიზანი?

მოვალის მიზანი არის ვალის დროულად გასტუმრება, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მოვალის კონკრეტული მიზანი შეიძლება იყოს:

- ❖ ვალდებულებების შესრულების ვადის გადავადება (ვალდებულებების რესტრუქტურირაცია), ან
- ❖ ფინანსური პრობლემებისაგან თავის დაღწევა ქონების სრულად გაყიდვისა და საქმიანობის შეწყვეტის გზით.



## რა არის გადახდისუნარობის კანონის მიზანი?

კანონის მიზანია დააბალანსოს კრედიტორისა და მოვალის მიზნები იმგვარად, რომ მათი ინტერესების დაკმაყოფილება მოხდეს თანაბარზომიერად. მაგალითად, მისცეს საშუალება მოვალეს განაწილვადოს ვალის გადახდა და ამით თავიდან აიცილოს გაკოტრება (მოვალის ინტერესების დაცვა) და, მეორეს მხრივ, მისცეს საშუალება ყველა კრედიტორს, რომ თანაბრად მიიღონ შესრულება (კრედიტორის ინტერესების დაცვა).



## როგორ აღმოვაჩინოთ დროულად მოვალის ფინანსური სიძნელეები?

პირდაპირი რეცეპტი არ არსებობს. როგორც წესი ფინანსური სიძნელეები მუდავნდება მაშინ, როცა ის უკვე დამდგარია. ამიტომ, ყველაზე კარგი რჩევა კრედიტორისათვის არის ის, რომ წინასწარ კარგად შეამოწმოს მისი პარტნიორი ვისთანაც იგი საქმიან ურთიერთობაში შესვლას აპირებს. სხვა მხრივ, ფინანსური სიძნელეების გამოვლენა იწყება მაშინ, როდესაც მოვალე გადახდებს არადროულად და შემცირებული ოდენობით ახორციელებს, ან როცა აგვიანებს თავისი ვალდებულების შესრულების დაწყებას, ან როცა ძალიან დიდია ჩამორჩენა ვალდებულებასა და შესრულებას შორის, ან როცა მოვალე წყვეტს ვალდებულების გადახდას. ფინანსური სიძნელეების დროულად გამოვლენაში შეიძლება გამოყენებული იქნეს ინფორმაცია მოვალესა და სხვა კონტრაგენტებს შორის არსებული სირთულეების შესახებ.



## როდის შეიძლება და როდის უნდა დაიწყოს კრედიტორმა მოთხოვნის დაკმაყოფილება?

კანონი კრედიტორს უფლებას აძლევს მოითხოვოს მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაშინ როცა ამის დრო დამდგარია (სკ-ის 316-ე მუხლი). მაგალითად, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს კრედიტის დაბრუნება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. გამონაკლის შემთხვევებში კანონი კრედიტორს უფლებას აძლევს მოთხოვნა განახორციელოს ვადაზე ადრეც, თუ აშკარაა რომ მოვალე ვალდებულებას ვერ შეასრულებს (სკ-ის 405.4 მუხლი) (მაგალითად, ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს კრედიტის ვადამდე დაფარვა თუ მსესხებლის მდგომარეობა გაუარესდება).



## რა მეთოდი უნდა გამოიყენოს კრედიტორმა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად?

კრედიტორისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე მისაღები გზა არის სარჩელის შეტანა მოვალის წინაშე, სასამართლოს გადაწყვეტილების მოპოვება და მისი შემდგომი აღსრულება. ასეთ ვითარებაში აღსრულებას დაექვემდებარება მოვალის მთელი ქონება. ამიტომ, კრედიტორის ინტერესებშია მოთხოვნის დაკმაყოფილების ე.წ. სასარჩელო გზა, რადგან ეს გზა მხოლოდ ერთი კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

თუმცა გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა კრედიტორის ინტერესში შედიოდეს არა სასარჩელო გზა, არამედ მოთხოვნის დაკმაყოფილების საგაკოტრებო გზა. ეს იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს მისაღები, როცა კრედიტორი ხედავს, რომ მოვალეს ჰყავს რამოდენიმე კრედიტორი, რომლებიც თავიანთი



მოთხოვნების დაკმაყოფილების გზაზე წინ უსწრებენ დაინტერესებულ კრედიტორს და რომელთა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაინტერესებულ კრედიტორს სარგებელი აღარ შეხვდება.

მაგალითად, თუ კრედიტორი აღმოაჩენს, რომ მის მოვალეს ასევე ჰყავს სხვა კრედიტორები, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს სასამართლო პროცესები მოვალის მიმართ და ამჟამად ისინი იძულებით აუქციონზე მოვალეს უყიდიან მთელ ქონებას, ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებული კრედიტორი ხვდება რომ მის მიერ ე.წ. სასარჩელო გზის გამოყენება იქნება დაგვიანებული, ანუ სანამ ეს კრედიტორი სასამართლო პროცესს დაასრულებს, მანამდე მოვალეს ქონებას სხვა კრედიტორები გაუყიდიან. ასეთ შემთხვევაში საგაკოტრებო გზა არის დაინტერესებული კრედიტორის დაცვის ეფექტური საშუალება, რადგან გადახდისუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მოვალის მიმართ დაწყებული ყველა იძულებითი აღსრულება ჩერდება, ხოლო ახლის დაწყება აღარ



დაიშვება (გსწ კანონის 21.2 “გ” მუხლი). ასეთ შემთხვევაში მოვალის მთელი ქონება დაექვემდებარება განაწილებას ყველა კრედიტორს შორის და ამ გზით დაინტერესებული კრედიტორი ასევე მიიღებს, თუ სრულს არა, ნაწილობრივ დაკმაყოფილებას მაინც.



როგორ წარვმართოთ ურთიერთობა პარტნიორთან (მომწოდებელთან ან კლიენტთან), რომელსაც წარმოეშვა ფინანსური სიძნელეები? როგორ აღვკვეთოთ კონფლიქტი კრედიტორებსა და მოვალეს შორის, რა პირობებში არის შესაძლებელი საქმიანი ურთიერთობის განგრძობა მოვალის მიმართ, რომლის მიმართაც დაწყებულია გაკოტრების პროცედურა?

პირველ რიგში, კრედიტორი უნდა შეეცადოს, რომ შესრულება განახორციელოს გადახდის შემდეგ. მაგალითად, თუ სამშენებლო ორგანიზაცია (რომელსაც აქვს ფინანსური სიძნელეები) თქვენგან იძენს სამშენებლო მასალებს (ცემენტი, აგური თუ სხვა), მაშინ უნდა შეეცადოთ, რომ მიწოდება განახორციელოთ გადახდის შემდგომ. ასეთ შემთხვევაში თქვენ აგცდებათ ფულის არგადახდის რისკი.



თუ ხელშეკრულება ისეა შედგენილი, რომ პირველი შესრულების ვალდებულება თქვენ გაქვთ (მაგალითად, ხელშეკრულების მიხედვით იმავე სამშენებლო ორგანიზაციას ჯერ თქვენ უნდა მიაწოდოთ სამშენებლო მასალები, ხოლო შემდეგ უნდა მოხდეს გადახდა), ამ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილით და უარი თქვათ ხელშეკრულებაზე (ანუ გადახდამდე შესრულებაზე), თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ანუ თუ აშკარაა, რომ სამშენებლო ორგანიზაცია ფულს ვერ გადაიხდის). მართალია კანონი ამ უფლებას იძლევა, მაგრამ ეს სარისკო უფლებაცაა, რადგან დავის შემთხვევაში თქვენ მოგიწევთ იმის დამტკიცება, რომ თქვენი გათვლები მეორე მხარის გადახდისუნარობის შესახებ იყო საფუძველიანი.



თუ თქვენი კონტრაგენტი უკვე იმყოფება გადახდისუუნარობის კანონის მოქმედების ქვეშ, მაშინ თქვენი ინტერესების დაცვის დამატებითი ბერკეტი შეიძლება იყოს კომუნიკაცია მოვალის მეურვესთან. გსწ კანონის მიხედვით მეურვე არის მოვალისაგან დამოუკიდებელი პირი (აუდიტორი ან ადვოკატი), რომელსაც შესწავლილი აქვს მოვალის კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები და რომელსაც ევალება სამეურვეო ქონების შენახვა და დაცვა. ამიტომ, თუ თქვენთვის ცნობილია ის, რომ თქვენი პარტნიორის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, შესაძლებელია, მანამ სანამ რაიმე შესრულებას განახორციელებთ მოვალის მიმართ, მოვალის მეურვისაგან მიღოთ სრული ინფორმაცია თქვენი მოვალის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოთ შეასრულოთ თუ არა გარიგება.



## ვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადახდისუნარობის შესახებ განცხადებით?

გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება აქვს:

- ❖ გადახდისუნარო ან მოსალოდნელი გადახდისუნარობის წინაშე მყოფ მოვალეს;
- ❖ საგადასახადო ან/და საბაჟო ორგანოს, თუ ვალის ოდენობა არანაკლებ 50 000 ლარია და გადასახადის გადახდის ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 60 კალენდარული დღისა;
- ❖ კრედიტორს, თუ იგი მოვალის მიმართ წარადგენს კანონიერ ძალაში შესულ სხვა კრედიტორთა სასარგებლოდ გამოტანილ არანაკლებ 2 სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც მიქცეულია იძულების წესით აღსასრულებლად და საერთო თანხა აღემატება 50 000 ლარს;



- ❖ კრედიტორს (კრედიტორებს), რომლის (რომელთა) მოთხოვნაც ბოლო ფინანსური ანგარიშგების მიხედვით აღემატება მოვალის მიმართ არსებულ მოთხოვნათა საერთო რაოდენობის 30%-ს და მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა;
- ❖ 2 კრედიტორს ერთად, თუ თითოეულის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა და მოვალე წერილობით არ შედავებია კრედიტორის მიერ განხორციელებულ მოთხოვნას. ამასთანავე, ამ კრედიტორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 150 000 ლარს;
- ❖ არანაკლებ 3 კრედიტორს ერთად, თუ თითოეულის მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომიდან გასულია არანაკლებ 30 კალენდარული დღისა და მოვალე წერილობით არ შედავებია კრედიტორის მიერ განხორციელებულ მოთხოვნას. ამასთანავე, ამ კრედიტორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.



გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის უფლება ამ ზემოაღნიშნულ პირებს აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ვადაგადაცილებული მოთხოვნის (მოთხოვნების) შესახებ მოვალე წერილობით იყო ინფორმირებული კრედიტორის (კრედიტორების) მიერ განცხადების შეტანამდე არა უგვიანეს 30 დღისა. შეტყობინებაში იმავდროულად უნდა აღინიშნოს მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანის თაობაზე.



## როდის შეიძლება და როდის უნდა წარედგინოს მოვალეს მოთხოვნები გაკოტრების პროცესში?

გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში კრედიტორებმა მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნები უნდა წარუდგინონ მეურვესა და სასამართლოს.

მოთხოვნებს თან უნდა ერთვოდეს მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

მეურვე უფლებამოსილია პირს, რომელსაც აქვს მოთხოვნა მოვალის მიმართ მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები.



კრედიტორის მოთხოვნა, რომელიც ზემოაღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ არის წარდგენილი, შესაძლოა არ იქნეს აღიარებული სასამართლოს მიერ. ამ მოთხოვნის აღიარების შემთხვევაში იგი ჩადგება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ბოლო, მე-7 რიგში.



## როგორ მიმდინარეობს გაკოტრების პროცედურა?

გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ გამოტანილი განჩინებით, სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლო ნიშნავს მეურვეს და ადგენს კრედიტორთა პირველი კრების თარიღს.

მეურვე, დანიშნვიდან 30 დღეში შეისწავლის მოვალის კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებებს და კრედიტორთა პირველ კრებაზე წარსდგება შესაბამისი მოხსენებით. მეურვის მოხსენების მოსმენისა და კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების შემდეგ კრედიტორთა კრება ირჩევს მომრიგებელ საბჭოს 3 წევრის შემადგენლობით, რომლის ერთ წევრს ნიშნავს მოვალე, მეორე წევრს ირჩევენ კრედიტორები, ხოლო მესამე წევრს ირჩევენ საბჭოს პირველი და მეორე წევრი. საბჭო, შექმნიდან 30 დღის განმავლობაში სწავლობს მოვალის



ფინანსურ მდგომარეობას და იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

- ❖ გაკოტრების შესახებ;
- ❖ რეაბილიტაციის შესახებ;
- ❖ საქმის შეწყვეტის შესახებ.

საბჭოს მიერ გაკოტრების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას განჩინებით ამტკიცებს სასამართლო, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს. განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღეში უნდა ჩატარდეს კრედიტორთა კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს გაკოტრების მმართველი. თუ კრება ვერ აირჩევს გაკოტრების მმართველს, მას დანიშნავს სასამართლო კრედიტორთა მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან. გაკოტრების მმართველი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. მმართველსა და კრედიტორებს შორის იდება ხელშეკრულება.



ამასთან სამეურვეო საბჭო არ აირჩევა და მოვალის პირდაპირი გაკოტრება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუნარობის საქმე დაწყებულია მოვალის განცხადების საფუძველზე.

გაკოტრების მმართველი დანიშნისთანავე უნდა შეუდგეს სამეურვეო ქონების გაყიდვას. ქონება იყიდება მხოლოდ აუქციონის გზით, რომელსაც ახორციელებს გაკოტრების მმართველი. ქონება იყიდება აუქციონის გზით. პირველი აუქციონი ტარდება გაკოტრების მმართველის არჩევიდან 30-ე დღეს. პირველ აუქციონზე ქონება იყიდება ერთიანი კომპლექსის სახით. ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებით, რომელსაც განსაზღვრავს ექსპერტი.

თუ პირველ აუქციონზე ქონება არ გაიყიდა, მაშინ პირველი აუქციონის ჩატარებიდან 30-ე დღეს ტარდება მეორე აუქციონი, რომელზეც ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება პირველი აუქციონის საწყისი ფასის ნახევრით. მეორე აუქციონზეც ქონება



იყიდება ერთიანი კომპლექსის სახით, თუმცა კრედიტორებს პირველი აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება სამეურვეო ქონების ნაწილ-ნაწილ გაყიდვის შესახებ. ამ შემთხვევაში თითოეული გასაყიდი ლოტის ფასი განისაზღვრება კრედიტორების მიერ.

მეორე აუქციონზე ქონების გაუყიდველობის შემთხვევაში კრედიტორები უფლებამოსილნი არიან ქონება ნატურით მიიღონ საკუთრებაში ან გაკოტრების მმართველს განუსაზღვრონ ქონების გაყიდვის წესი. თუ ქონების კრედიტორებისათვის საკუთრებაში გადასვლის ან მისი რეალიზაციის სხვა წესი მეორე აუქციონიდან 60 დღეში არ დასრულდება, მაშინ გაკოტრების მმართველი სთავაზობს კრედიტორებს ქონების ნატურით მიღებას. ქონება ნატურით გადაეცემა მისი საბაზრო ღირებულებით. კრედიტორის უარი ქონების ნატურით მიღებაზე განიხილება მოთხოვნაზე უარის თქმად.



პირი რომელიც ქონებას შეიძენს ერთიანი კომპლექსის სახით უფლებამოსილია შეინარჩუნოს ამ საწარმოს სახელი და სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდეს როგორც მისი ერთადერთი პარტნიორი. საწარმო ახალ შემძენზე გადადის ვალებისაგან თავისუფალი.

კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება შემდეგი რიგის მიხედვით:

- ❖ პირველი რიგი – საპროცესო ხარჯები;
- ❖ მეორე რიგი – გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის თარიღიდან მოვალის მიმართ წარმოქმნილი დავალიანება;
- ❖ მესამე რიგი – მეურვის დანიშვნასთან და მის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ანაზღაურება;



- ❖ მეოთხე რიგი – ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
- ❖ მეხუთე რიგი – საგადასახადო დავალიანებები, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;
- ❖ მეექვსე რიგი – ყველა დანარჩენი აღიარებული არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა;
- ❖ მეშვიდე რიგი – დაგვიანებით წარდგენილი კრედიტორთა მოთხოვნები.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ. თუ თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება ამ რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის პროპორციულად.



## როგორ დაუბრუნდეს ქონება გაკოტრების პროცესში მყოფ მოვალეს?

კრედიტორისათვის ზიანის მომტანად ჩაითვლება გადახდისუნარობის შესახებ განცხადების სასამართლოში შეტანამდე 6 თვის განმავლობაში განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

- ❖ მოვალის ქმედება, რომელმაც ხელი შეუშალა კრედიტორთა თანაბარზომიერ დაკმაყოფილებას და კონკრეტულ კრედიტორს უპირატესობა მიანიჭა იმავე რიგის სხვა კრედიტორებთან შედარებით;
- ❖ მოვალის მიერ გარიგების დადება ან სხვა ქმედების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება.



თუ უპირატესობამინიჭებული კრედიტორი ან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარიგების კონტრაგენტი მოვალესთან დაკავშირებული პირი ან მოვალის ნათესავია, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვადა შეადგენს ერთ წელს.

ზემოაღნიშნული ქმედებანი და გარიგებანი შესაძლოა გასაჩივრდეს მეურვის მიერ და მოთხოვნილ იქნეს ზიანის აღმოფხვრა. აღნიშნულის გარდა, თუკი მოვალეს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე გააჩნია მოთხოვნის უფლება სხვა პირის მიმართ, მაშინ მოვალის სარჩელი ასეთი პირის მიმართ განიხილება ჩვეულებრივ, საერთო წესების საფუძველზე. საქმეს განიხილავს და გადაწყვეტს გადახდისუნარობის საქმის განმხილველი სასამართლო.



## როგორ მოვახდინოთ ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურირაცია? რა საშუალებით შეიძლება მოვალის ლიკვიდაციის თავიდან აცილება?

ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოვალეს მოცემული დროის მონაკვეთში არ ძალუძს დამდგარი ვალდებულებების შესრულება, მაგრამ იგი საფუძვლიანად იმედოვნებს, რომ მომავალში იგი შეძლებს თავისი ვალდებულებების შესრულებას. ამისათვის მოვალე ითხოვს დამატებით დროს ვალდებულებების შესასრულებლად ანუ ვალდებულებების რესტრუქტურირაციას. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონში ამ თემას ეძღვნება ცალკე თავი (VI თავი) რეაბილიტაციის სახით. რეაბილიტაციის არსი მდგომარეობს შემდეგში: მოვალე, რომლის მიმართაც მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმე უმტკიცებს კრედიტორებს, რომ



მისი არგაკოტრების შემთხვევაში იგი ყველა კრედიტორს ვალდებულებას შეუსრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუკი კრედიტორები მოვალეს მაინც გააკოტრებენ, კრედიტორები მხოლოდ თავიანთი მოთხოვნების (მცირე) ნაწილს მიიღებენ. ეს აძლევს მოტივაციას კრედიტორებს, რომ დაეთანხმონ მოვალის წინადადებას რეაბილიტაციაზე.

ტექნიკურად რეაბილიტაციის განხორციელება ხდება შემდეგნაირად. მოვალე, რომლის მიმართაც დაწყებულია გადახდისუნარობის საქმის წარმოება, მეურვეს წარუდგენს თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს რეაბილიტაციის შესაძლებლობის შესახებ. მეურვე სწავლობს მოვალის ამ წინადადებას და ამის შესახებ იგი მის აზრს მოახსენებს კრედიტორთა პირველ კრებას, რომელიც ისმენს მეურვის მოხსენებას მოვალის ქონების, ფინანსური მდგომარეობისა და ვალდებულებების შესახებ.



მეურვის მოხსენების შემდეგ კრედიტორთა პირველ კრებაზე იქმნება მომრიგებელი საბჭო, რომელიც შექმნიდან 30 დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას მოვალის გაკოტრების, რეაბილიტაციის ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მოვალე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით უმტკიცებს საბჭოს, რომ ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურირება (რეაბილიტაცია) შესაძლებელია. თუკი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მოვალის რეაბილიტაციის შესახებ, ეს გადაწყვეტილება მტკიცდება საამართლოს განჩინებით და ქვეყნდება. განჩინების გამოქვეყნებიდან 3 დღეში უნდა ჩატარდეს კრედიტორთა კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს რეაბილიტაციის მმართველი და უნდა განსაზღვროს ვადა (არაუმეტეს 60 დღისა) რეაბილიტაციის გეგმის მოსამზადებლად.



რეაბილიტაციის გეგმა განსახილველად გადაეცემა მომრიგებელ საბჭოს, რომელიც 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას გეგმის მოწონების შესახებ. მოწონებული გეგმა დასამტკიცებლად გადაეცემა კრედიტორთა კრებას, რომელიც გეგმის გადაცემიდან 7 დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას გეგმის დამტკიცების შესახებ. რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებას ესაჭიროება ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის თანხმობა. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს დავალიანების დაფარვის ყველა დეტალს (დროს, მოცულობას, პროცენტს, რიგითობას და ა.შ.).

რეაბილიტაციის გეგმის განუხორციელებლობის (დარღვევის) შემთხვევაში, სულ მცირე 10%-იანი მოთხოვნის მქონე კრედიტორის წერილობითი განცხადების საფუძველზე, სასამართლო განცხადების წარდგენიდან 14 დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას რეაბილიტაციის გეგმის შეწყვეტის შესახებ. დადებით შემთხვევაში იწყება გაკოტრება.



## რა უპირატესობა აქვს რეაბილიტაციას გაკოტრებასთან შედარებით?

რეაბილიტაციას აქვს შემდეგი უპირატესობანი:

- ❖ თავიდან აიცილება საწარმოს გაკოტრება (საწარმოს ლიკვიდაცია), საწარმო აგრძელებს მუშაობას, არ ხდება პერსონალის სამსახურიდან დათხოვნა;
- ❖ რეაბილიტაციის დროს ხდება ყველა კრედიტორის დაკმაყოფილება, გაკოტრების დროს კი კრედიტორთა დაკმაყოფილება ხდება შესაძლებლობის მიხედვით;











- ❖ თავიდან იქნება აცილებული ქონების გაყიდვასთან დაკავშირებული რისკები და თანმდევი არასასურველი შედეგები. მაგალითად, გაკოტრების დროს ქონების აუქციონზე არგაყიდვის შემთხვევაში, კრედიტორი იძულებულია ქონება მიიღოს ნატურით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს მოთხოვნის უფლებას. აქედან გამომდინარე კრედიტორი შესაძლოა იძულებული იყოს საკუთრებაში მიიღოს ისეთი ქონება, რომლის შეძენაც მას არ სურს და რომლის შენახვაც დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.



## რომელი სუბიექტები და ორგანოები მონაწილეობენ გადახდისუნარობის პროცესში?

ეს სუბიექტები და ორგანოები არიან:

-  სასამართლო;
-  მოვალე;
-  კრედიტორი;
-  კრედიტორთა კრება;
-  კრედიტორთა კომიტეტი;
-  მეურვე;
-  გაკოტრების მმართველი;
-  რეაბილიტაციის მმართველი.



## მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგური

სრული მომსახურების იურიდიული ფირმა, რომელიც ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, როგორც გლობალური კორპორაციებისთვის ისე ადგილობრივი და მსხვილი რეგიონალური კლიენტებისათვის, განხილავს რა სხვადასხვა ინვესტირების, საბანკო საქმიანობის, საფინანსო, პროექტთა დაფინანსების, ინფრასტრუქტურის, ენერჯეტიკის, საცალო ვაჭრობისა თუ სხვა იურიდიულ საკითხებს კორპორაციული და კომერციული სამართლის ყველა არსებით ასპექტს. ასევე წარმოადგენს თავის კლიენტებს სასამართლო და საარბიტრაჟო დავებზე.

იურიდიულ ფირმის "მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგური"  
შესახებ მიმდინარე მოვლენებზე დეტალური ინფორმაციის  
გასაგებად ესტუმრეთ ვებ-გვერდს: [www.mkd-law.ge](http://www.mkd-law.ge)

ან დაგვიკავშირდით: მარიონელა ხომერიკს [mkhomeriki@mkd-law.ge](mailto:mkhomeriki@mkd-law.ge)  
ვიქტორ ყიფიანს [vkipiani@mkd-law.ge](mailto:vkipiani@mkd-law.ge)

საქართველო, თბილისი 0186, ვაჟა ფშაველას გამზ. 71, ოფისი 24,  
ტელ.: +995 32 553880/81, 973880/81  
ფაქსი: +995 32 973884  
E-mail: [info@mkd-law.ge](mailto:info@mkd-law.ge)

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და არ არის განკუთვნილი რომელიმე ფიზიკური თუ იურიდიული პირის კონკრეტული პრობლემატიკის გადაჭრისთვის. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა მოგაწოდოთ დაზუსტებული და დროული ინფორმაცია, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ინფორმაცია არის ზუსტი მიღების მომენტისთვის და ასეთად დარჩება მომავალშიც. არავინ უნდა იმოქმედოს აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული გარემოების საფუძველიანი შესწავლისა და სათანადო პროფესიული რჩევის მიღების გარეშე.